ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48.48220633**

თარიღი:**04/03/2022**

ექსკლუზიური უფლებამოსილებიდან გამომდინარე, საფელდეგერო (სახელმწიფო მნიშვნელობის გზავნილის უსაფრთხოდ, დაცულად, დაუზიანებლად და ოპერატიულად ადრესატისათვის მიწოდების) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-5 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ექსკლუზიური უფლებამოსილებიდან გამომდინარე, საფელდეგერო (სახელმწიფო მნიშვნელობის გზავნილის უსაფრთხოდ, დაცულად, დაუზიანებლად და ოპერატიულად ადრესატისათვის მიწოდების) მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა მიმწოდებელ - შპს „საქართველოს ფოსტისგან“ (ს/კ: 203836233) განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით;

2. საფელდეგერო (სახელმწიფო მნიშვნელობის გზავნილის უსაფრთხოდ, დაცულად, დაუზიანებლად და ოპერატიულად ადრესატისათვის მიწოდების) მომსახურების (CPV64100000 - საფოსტო და საკურიერო მომსახურებები) სახელმწიფო შესყიდვა ღირებულებით 100 (ასი) ლარი, დაფინანსდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის შესაბამისი ხარჯებიდან;

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დადგენილი წესით შეთანხმდეს სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან;

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს ვიკავებ პირადად;

5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;